ცნობის ფურცელი

№ 1797 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 3 მაისი № 1797

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან. და 50 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას,** რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.**

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24. ტელეფონი № 642.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. შ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები – მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274 (წლ.))

ქართული თეატრი

შაბათს, 4 მაისს 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

I.

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ. კარეევისა, თარგ. ზ. ჩიქვაიძისა.

II.

ბედნიერი ცოლ-ქმარი

ვოდევ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, კარგარეთელი, გიგიშვილი, კვთელი, სარიძე და სხ.

ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმერიძე, იმედაშვილი, ივანიძე და სხვანი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება „სამშობლო“.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქუთაისის გუბერნიის **მევენახე-მეღვინეთა პირველ ამხანაგობის** წლიური საზოგადო კრება გადიდვა კვირას, ხუთ მაისის, დილის ათი საათისათვის.

(ნ.6—4) **ნ. წერეთელი**

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების წევრთ იწვევენ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია დღეს, 3 მაისს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნებია:

1) მიმდინარე საქმეები.

2) ა. ს. ფირალოვის მოხსენება: „რუსეთის შინამრეწველობის მოღვაწეთა კრების შედეგი“.

კრებაზე გარეშე პირთაც შეუძლიათ დაესწრონ. (ნ. 1—1).

საზღვარ-გარედ

ავსტრია. როგორც ყოველთვის, წელსაც ავსტრია-ჰუნგრეთის დელეგატების სხდომა ფრანც-იოსებმა გახსნა. სეფე-სიტყვის შემდეგ იმპერატორმა ჩვეულებრივ აუდიენციაზე მიიღო დელეგატები და ბევრს მათგანს ელაპარაკა. სხვათა შორის, ფრანც-იოსებს საუბარი ჰქონდა მლადოჩეხების დელეგატ პაცაკთან ბოჰემიის სეიმის მალე მოწვევისა და საბიუჯეტო კამათის გათავების საჭიროებაზე. საუბრის დროს იმპერატორმა ქებით მოიხსენია მლადოჩეხების დასის ეხლანდელი პოლიტიკა. პაცაკს შემდეგი პასუხი მიუცია იმპერატორისათვის: „მლადოჩეხების დასი დაადგა ამ პოლიტიკას იმ იმედით, რომ ჩეხების სამართლიანი მოთხოვნები მხედველობაში იქნება მიღებული. მაგრამ მე მეფის ორგულობას გამოვიჩენდი, თუ დავმალავდი, რომ მეტად ძნელი იქნება მლადოჩეხების დასის და ჩეხურ საზოგადოებრივ აზრის ამგვარ პოლიტიკაზე გაჩერება, თუ მოსპობილი არ იქნება ის უსამართლობა, რომელიც ჩეხებს სჭირთ „ენების კითხვის“ საქმეში. მე მეტად სინიდისიერი ვარ იმისათვის, რომ მეფეს დავპირდე „ისეთი რამ, რის შესრულებაც შეუძლებელია“. იმპერატორმა იმედი გამოსთქვა, ახლო მომავალში ამ მხრივაც „რამე“ იქნება გაკეთებულიო, მაგრამ ამასთანავე უჩვენა თვით ჩეხებისა და გერმანელების შეთანხმების აუცილებელი საჭიროება.

ჩეხელი მამულიშვილი ყველგან—სახლში თუ გარეთ, მტერთან თუ მოყვარესთან, უბრალო მომაკვდავთან თუ იმპერატორთან—უშიშარი და გაბედული დამცველია თავის ერის არსებით ინტერესებისა; მას არც ბრძოლის ეშინია, არც „არ მოწონებისა“...

✿ ავსტრიისა და გერმანიის კავშირის მომავალ განახლების გამო „სტაროჩეხების“ გაზეთი „პოლიტიკ“-ი სწერს: „პოლონეთის კლუბის თავმჯდომარემ იავორსკიმ უარი სთქვა ავსტრიის დელეგაციის თავმჯდომარეობაზე. პოზნანის პოლონელების დევნას არ შეეძლო გავლენა არ ჰქონებოდა ავსტრიელ პოლონელებზე—ესენი ვეღარ უყურებენ მეგობრულად სამთა კავშირს. გალიციის საზოგადოებრივ აზრის ეს ცვლილებათან და თან უფრო ძლიერად იჩენდა თავს და ბოლოს გალიციის სეიმშიაც გამოითქვა (ჩარტორიისკისა და დაშინსკის სიტყვები).

ფელეტონი

ქალაქის თვითმმართველობა რუსეთში

I

1870 წლის საქალაქო დებულება

შინაგან ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობა შეიძლება ორგვარად. როდესაც საქმეებს განაგებენ და მართავენ მთავრობის მიერ დანიშნულნი, სახელმწიფო სამსახურის კაცები, ეს იქნება ბიუროკრატიული (მოხელეების) გამგებლობა.

როდესაც-კი, **ადგილობრივ საქმეებს** *) **განაგებენ ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ არჩეული ადგილობრივი კაცები, მაშინ მართვა-გამგეობის წეს-წყობილება იქნება თვითმმართველობა.**

რუსეთის ქალაქების თვითმმართველობას საძირკველი დაუდვა პეტრე დიდმა, რომელმაც 1699 წელს განთავისუფლა მოქალაქენი ბოიარებისა, ვოევოდებისა და სხვა მოხელეებისაგან და სამოსამართლო, სავაჭრო და გადასახადების საქმეებში დაუმორჩილა ისინი მათ მიერ არჩეულ რატუშებს და ბურმისტრებს. 1724 წ. მანვე დააარსა უმთავრესი და საქალაქო მაგისტრატები. მაგისტრატები იყვნენ სამოსამართლო-საადმინისტრაციო დაწესებულებანი და განაგებდენ მხოლოდ სავაჭრო-სამრეწველო კლასის—„მოქალაქეებს“ საქმეებს, რომელთა რიცხვს არ ეკუთვნოდენ შლიახტა (თავად-აზნაურობა), სამღვდელოება და უცხოელები. ყოველი მაგისტრატი შესდგებოდა მოქალაქეების მიერ არჩეულ ერთის ან რამდენისამე ბურმისტრისა, რამდენისამე რატმანისა და ზოგიერთ ქალაქში პრეზიდენტებისაგან. მაგისტრატი განაგებდა მოქალაქეებს შორის მომხდარ ყოველს სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეს, ანაწილებდა სახელმწიფო გადასახადებს მცხოვრებთა შორის და ჰკრებდა ზოგიერთს მათგანს, განაგებდა პოლიციის ნაწილს, ჰმართავდა სკოლებს, საავადმყოფოებს და სხ. ყველაფერს ამაში იგი ემორჩილებოდა სენატს და უმთავრესს მაგისტრატს და არავითარი დამოკიდებულობა არა ჰქონდა გუბერნატორსა და ვოევოდასთან **), როდესაც საქმე ეხებოდა ქალაქის სასამართლოს და ეკონომიას.

პეტრეს შემდეგ მაგისტრატები (რომლებსაც ახლა რატუშები ეწოდებოდა) სრულიად დაიმორჩილეს ვოევოდებმა; უმთავრესი მაგისტრატი გაუქმებულ იქმნა. საქალაქო მაგისტრატებს უმთავრესი მოვალეობა ახლა მხოლოდ გადასახადების განაწილება და შეკრება იყო. ხშირად მოხდებოდა, რომ ბურმისტრს ატუსაღებდენ, როდესაც იგი თავის დროზედ ვერ აგროვებდა ფულს. 1775 და 1785 წ.წ. ეკატერინე მეორემ გამოსცა ახალი წესდება ქალაქის თვითმმართველობისათვის. ქალაქის მცხოვრებლები გაყოფილ იქმნენ ხუთს კლასად ქონებისა და შეძლებისდაგვარად. ქალაქის მცხოვრებლებს მიენიჭათ უფლება ამოირჩიონ თავიანთ შორის **საზოგადო საქალაქო საბჭოს** ხმოსნები და ქალაქის თავი; საზოგადო საბჭო თავის მხრივ ირჩევს ექვს-წევრიან საბჭოს (თითო წევრი თითო კლასიდან), რომლის თავმჯდომარეა ქალაქის თავი. საზოგადო საბჭო იკრიბება სამს წელიწადში ერთხელ; ექვს-წევრიანი საბჭო განაგებდა ქალაქის მეურნეობას და ყოველს შემოსავალსა და გასავალში ანგარიშს აძლევდა გუბერნატორს.

იმპერატორმა პავლემ გააუქმა ეკატერინე მეორის წეს-წყობილება და მის მაგიერ შემოიღო ქალაქის საქმეების გამგებლობისათვის რატჰაუზები, რომლების წევრთ ზოგს მცხოვრებლები ირჩევდენ, ზოგს თვითონ მთავრობა ნიშნავდა. რატჰაუზები ყველაფერში ემორჩილებოდნენ ადგილობრივ გუბერნატორებს.

ალექსანდრე პირველმა სრულიად აღადგინა ეკატერინე მეორის სისტემა, მაგრამ მისს სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზმა შესცვალა ხელ-ახლად იგი და შემოიღო ახალი, წოდებრივი თვითმმართველობა. ქალაქის საზოგადოება გაყოფილ აქმნა ხუთ კლასად: ჩამომავლობითი აზნაურები, პირადი აზნაურები, ვაჭრები, მეშჩანები და ხელოსნები. ყოველი კლასი ირჩევდა ცალკე ხმოსნებს და კლასების წარმომადგენელნი ერთად შეადგენდენ საზოგადო საბჭოს. საბჭო იყო გაყოფილი ხუთ განყოფილებად კლასებისა დაგვარად; განყოფილება განაგებდა თავის კლასის საქმეებს; განყოფილებანი შეერთდებოდენ, როდესაც საქმე ეხებოდა საერთოდ ყველა კლასს. საზოგადო საბჭოს აღმასრულებელი ორგანო იყო—გამგებელი საბჭო, განყოფილებათა-კი—გამგეობანი. ქალაქის თვით-მმართველობა ემორჩილებოდა სენატს და გუბერნატორს.

მესამოცე წლებში რუსეთში რეფორმების ხანა დადგა. მთავრობამ უვარგისად იცნო, სხვათა შორის, ქალაქის თვით-მმართველობის წესწყობილებაც. 1862 წელს მიენდო შინაგან

---

*) ამა თუ იმ ქალაქის, ან მაზრის სწავლა განათლება, გაჭირვებულთა და შეუძლოთა უზრუნველყოფა, სიმშილობის დროს დახმარება, კრების გამართვა, სახალხო ჯანმრთელობა დასხ.

**) ვოევოდა—ძველებური რუსული სახელია, ჰნიშნავდა წინამძღოლს, უფროსს, გუბერნატორს.

ეხლა იავორსკიმ უარი სთქვა დელეგაციის თავმჯდომარეობაზე, რადგანაც მას შეუძლებლად მიაჩნია იმდენად უღალატოს თავის რწმენას, რომ სიმპატია გამოუცხადოს სამთა კავშირს. თუ ეგრე მოიქცა ისეთი ფრთხილი პოლიტიკოსი, როგორიც პოლონელების კლუბის პრეზიდენტი, ეს საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისი, თუ რამდენად გაძლიერდა გალიციაში ანტიპატია გერმანიისადმი.

მართლაც ბერლინმა ყოველი ღონე იღონა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა ავსტრიელ სლავიანების ეროვნულ გრძნობისათვის; გერმანიაში სლავიანებს სდევნიდნენ, ავსტრიაში გადმოიტანეს პანგერმანისტების მოძრაობა და ხელს უწყობდნენ მას; პანგერმანისტების მოძრაობასთან ერთად გააძლიერეს პროტესტანტიზმის ქადაგებაც, რაც აშფოთებს თვით გერმანელ კათოლიკებს.

ამ გვარად გერმანელებმა თავი შეაძულეს ყველა სლავიანებსა და კათოლიკებს. ვილან არის ეხლა ავსტრიაში გერმანიასთან კავშირის მოახრე? ერთი მუჭა გერმანელ ლიბერალებისა და პან-გერმანისტებისა. და განა ეს საკმარისია გერმანიის დიდ პოლიტიკურ მიზნებისათვის?

ერთ დროს ჰფიქრობდნენ, რომ გერმანელების მომხრე ჰუნგრელები არიან; ბიულოვმა ერთხელ კიდეც სთქვა, რომ ჰუნგრეთი საუკეთესო ბოძია სამთა-კავშირისა. მაგრამ ეხლახან ჰუნგრეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გაზეთმა სთქვა, რომ სამთა კავშირი გერმანიისათვის ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპლოატაციის იარაღია. და ამ აზრის არის ჰუნგრეთის მეტი ნაწილი. ამიტომ თუ გერმანელებს სურთ იქონიონ ქაღალდის კავშირზე უფრო მტკიცე რამ, რადიკალურად უნდა შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა სლავიანების შესახებ“.

ბევრჯელ გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ სამთა კავშირი მართლა მარტო „ქაღალდის კავშირი“ იქნებოდა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთს რუსეთის პოლიტიკის არ ეშინოდეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ამიტომაც რეალური მნიშვნელობა და ძალა ავსტრიის გერმანიასთან კავშირს მარტო ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ექნება.

ინგლისი. სოლსბერის სიტყვა კონსერვატორების წლიურ მიტინგზე უმთავრესად შეეხებოდა ირლანდიის კითხვასა და სამხრეთ-აფრიკის ომიანობას. ჯერ ინგლისის პირველი მინისტრი შეეხო ირლანდიურ კითხვას. ორატორის აზრით, ინგლისს ეხლა სრულებით აღარ უნდა ეშინოდეს იმისი, რომ ყოვლად უგნურსა და დამღუპველ პროექტს ირლანდიის ბრიტანიიდან მოგლეჯისას რომელიმე სახელმწიფო მოღვაწემ მხარი მისცეს.

სამხრეთ-აფრიკის ომიანობაზე სოლსბერიმ სთქვა, რომ მიუხედავათ იმ დიდის მსხვერპლისა, რომელიც ინგლისმა შესწირა ამ საქმეს, შეუძლებელია სთქვას ვინმემ, რომ დიდ ბრიტანიის იმპერიის ძლიერება, პრესტიჟი და გავლენა არ გაზრდილიყოს ამ უკანასკნელ დროს. შემდეგ ორატორი შეეხო ზავის გამო გამართულ მოლაპარაკებას და სთქვა: „საზოგადოებაზე მეტიც რომ ვიცოდე საზავო მოლაპარაკების შესახებ, მე ვერას ვიტყოდი, რადგან მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა. ყოველ შემთხვევაში არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ, ვითომც ინგლისმა წინანდელი პოზიცია გამოიცვალა. იმ საშინელ მსხვერპლის შემდეგ, რომელიც ინგლისს გადახდა, შეუძლებელია სამხრეთ-აფრიკაში შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც მტერს შეძლებას მისცემს ისევ ასტეხოს ბრძოლა, როცა შემთხვევას იშოვის. არავითარი ეჭვი არ უნდა იყოს იმის შესახებ, რომ დაპყრობილ ქვეყნებში მთავრობა იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ ომის განმეორება შეუძლებელი გახდეს. ამის ცხადათ და საჯაროთ გამოცხადება აუცილებელი საჭიროებაა. მაგრამ მე არ მსურს ჩვენ წინაამდეგ მებრძოლთ მწარე გრძნობები აღუძრა და მხურვალედ მსურს, რომ ისინი სარგებლობდნენ იმ წესისა და ძლიერების ყველა სიკეთით, რომელიც უზრუნველ ყოფილია ყველა ერებისათვის ჩვენის კოლონიალურ სისტემით“.

ირლანდიის დიდ-ბრიტანიისაგან მოგლეჯას არც ერთი ინგლისელი მოღვაწე არა ჰფიქრობდა. წინათ გლადსტონისა და ეხლა კემპბელ-ბანერმანის პროექტია, მისცენ ირლანდიას ისეთივე თვით მართველობა (საკუთარის პარლამენტით), როგორც ავსტრალიას, კანადას და სხვა ახალშენებს აქვთ. ასეთ ჰუმანურ და გონიერ პოლიტიკას თანაუგრძნობდა ისეთი უკიდურესი იმპერიალისტიც-კი, როგორიც იყო ეხლა გარდაცვლილი სესილ როდსი და სესილ როდსს კი ვერავინ უკიჟინებს უნიადაგო ჰუმანურ იდეებით გატაცებას; თუ ასეთი პირებიც თხოულობენ ირლანდიის განთავისუფლებას, ეს იმიტომ, რომ თვით დიდ-ბრიტანიის ინტერესი მოითხოვს ირლანდიის ინგლისთან შერიგებას და ეს შერიგება კი ყოვლად შეუძლებელია, სანამ ირლანდიას საკუთარი პარლამენტი არ ექნება. ამიტომ ირლანდიის ავტონომია დღეს არა ხვალ სინამდვილედ გადაიქცევა, მიუხედავათ როზბერის ღალატისა და სოლსბერის ზემოდ მოყვანილ წინასწარმეტყველებისა.

ახალი ამბავი

◆ ამ თვეში, ტფ. „კრუჟოკ“-ის საზაფხულო სადგომში გაიმართება სიმფონიური საღამო **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** სასარგებლოდ. საღამოს დიასახლისად იქნება უგანათ. კნ. თამარ გრუზინსკისა.

◆ კავკასიის **სტუდენტთა დამხმარებელის საზოგადოების** დამფუძნებელნი სთხოვენ იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 27 აპრილს მომხდარს საზოგადო კრებაში, ხელი მოაწერონ კრების ოქმს; ეს ოქმი 8 მაისამდის იქნება ლ. ბ. ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში.

◆ პირველ მაისს თავ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით **პირველი საარჩევნო უბნის** სიების შემდგენელი კომიტეტის სხდომა იყო. ამ სხდომაზე ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რა მიმართულებისა და მოსაზრებისა უნდა იყვნენ ხმოსნები, რომ თავის მოქმედებით ქალაქს რაიმე სარგებელი მოუტანონ. თორემ ბევრი განუვითარებელი და უვიცი ხმოსანიაო, რომელსაც სარგებლობა კი არა ვნების მეტი არა მოაქვთ-რაო, რადგანაც მშრომელი და მოღვაწე ხალხის ალაგი უჭირავთ და სხდომებზედაც კი არ დადიან, არამც თუ სხვა რამე სარგებლობა მოუტანონ ქალაქსაო. ამის გამო დიდი სიფრთხილე და დაკვირვება უნდა ხმოსნების ამორჩევასო. ამ მოსაზრებით 66 ხმოსნად დასახელებულ პირთაგან მხოლოდ 33 პირი აღნიშნეს, რომლებიც მართლა ხმოსნობის ღირსნი არიან. ამათგან რამდენსამე პირს დავასახელებთ: თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი, საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე ლამბაროვი, სამხედრო სამედიცინო სამმართველოს უფროსი ექიმი მალინინი, კამერჰერი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, კ. მ. ალიხანოვი, ა. ნ. ფურცელაძე, ექიმი ანანოვი, ექიმი კიუჩარიანცი, ექიმი ვესელოვზოროვი, თ. გ. მ. თუმანიშვილი, მ. ი. თამამშევი და სხვანი. 4 მაისს ყველა ესენი შეიყრებიან, რათა უკანასკნელად გადაათვალიერონ სიები, ხოლო ხუთ მაისს წარადგენენ განსახილველად საზოგადო კრებაში.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციას შეაქვს საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოში საბჭოს დადგენილება გამგეობის მეოთხე **წევრის ამორჩევის** შესახებ. საგუბერნიო ადმინისტრაცია უკანონოდ სთვლის ამ არჩევანს, რადგანაც საქალაქო დებულების 118 მუხლის ძალით და უმართებელესი სენატის განმარტებით 19 მარტს 1900 წ., ადმინისტრაციას დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ ყველა ამორჩეულები და არა ერთი, როგორც ქალაქის საბჭომ წარადგინა მარტო ბ. სტეფანოვი.

◆ გუშინ, 2 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა **საქმე სტუდენტების** თავ. ნიკოლოზ მერაბის ძის ლორთქიფანიძისა, კირილე იესეს ძის ნინიძისა, ალექსანდრე ნიკიფორეს ძის კანდელაკისა და ილია კონსტანტინეს ძის აფხაიძისა, რომელთაგან პირველს სამს ბრალდებოდა ქუთაისის თეატრში პიესის „კონტრაბანდისტ“-ების წარმოდგენის დროს უწესოების მოხდენა და სამსახურის აღსრულების დროს პოლიციის მოხელეთა მოქმედებით შეურაცხების მიყენება და აბხაიძეს ამავე დროს თეატრის წინ საზოგადო მყუდროების დარღვევა და სტრაჟნიკისათვის შეურაცხების მიყენება. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ოთხივენი აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვიტა მათ ციხეში დაპატიმრება. თავ. ნიკ. ლორთქიფანიძეს ორის თვის ვადით, კირ. ნინიძეს და აბხაიძეს სამ-სამი თვით, ხოლო ალექსანდრე კანდელაკს სამის კვირის ვადით.

◆ ტფილისის ბოტანიკური ბაღის გამგე აგრონომი **როლოვი**, როგორც გადმოგვცეს, გადაჰყავთ ნიკიტის მეღვინეობის და მებაღეობის სასწავლებლის დირექტორად ქ. იალტაში.

◆ როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში მიწად-მოქმედების სამინისტროში განხილულ იქმნა ტფილისის **ბოტანიკურ ბაღის შტატები.** ახალი შტატები მოხელეთა რიცხვით გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ამ ჟამადაა.

◆ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო აგრონომების ბ.ბ. ტიმოფეევისა და როლოვის გამგზავრება საზღვარ-გარედ **ძვირფასს მცენარეების კულტურის** შესასწავლად, რასაც ამას წინად ვაუწყებდით მკითხველთ, გადაიდვა მომავალ წლამდე.

◆ განჯის გუბერნატორი სთხოვს კავკასიის საბრეშუმო სადგურს დახმარება გაუწიოს მას **მეაბრეშუმეების ნაწარმოების** ბაზრებისა და საზოგადო სასწორების დაარსების საქმეში; რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს საქმე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაშია მოწყობილი და სასურველია განჯის გუბერნატორის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ.

◆ პირუტყვთა მფარველი ტფილისის საზოგადოება ოთხ მაისს დღესასწაულობს თავის **ოცდა ხუთის წლის არსებობას,** რის გამოც აღნიშნულს დღეს, დილის ათ საათზე, აკურთხებენ სადგომს, რომელიც შენდება საზოგადოების მიწაზე—რიყეზე; ეს სადგომი, როგორც ვიცით, დანიშნულია პირუტყვთა საავადმყოფოსათვის.

◆ უცხოელმა ბოკილიონმა განცხადება შეიტანა ქალაქის საბჭოში და სთხოვს, რომ ნება მიეცეს მას, გამართოს ტფილისში და ახლო-მახლო აგარაკებზე სასიარულოთ **ავტომობილებით მიმოსვლა.** ასეთისავე თხოვნით მიუმართავს ბ. ტფილისის გუბერნატორისათვის და ნება უთხოვია მთელს გუბერნიაში გამართოს ავტომობილებით მიმოსვლა. ამ წინადადებას განიხილავენ ქალაქის გამგეობაში ხმოსნების დასწრებით.

◆ ოთხ მაისს დანიშნულია კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს კითხვა **სოლოლაკის მთაში გვირაბის გაყვანაზე,** რომელსაც კისრულობენ სამთო ინჟენერები ბ. ბ. ხატისოვი და ბრაილოვსკი.

◆ რადგანაც ნება დართეს, ერთ-ერთ ქუჩას ტფილისში გამოჩენილი მწერლის ბელინსკის სახელი დაერქვას, ქალაქის გამგეობამ დაადგინა **კირპიჩნი ქუჩას** ეწოდოს ბელინსკის ქუჩა.

◆ ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ მიმართა ერთ დამზღვევ საგენტოს ტფილისში, რომ დასაზღვევად მიიღოს უბედურებისგან, უკეთუ ვისმე მოუვა უბედურება ცხენის რკინის გზაზე, როგორც გზის **მოსამსახურენი, აგრეთვე მგზავრები.**

◆ ოთხშაბათს, პირველ მაისს, ვერის ხიდთან **მტკვარში ჩავარდა გაუფრთხილებლობით** ვიღაც უცნობი ქალი, რიგიანად ჩაც-

---

საქმეთა სამინისტროს ამ საქმის შესწავლა და რეფორმის მოსახდენად საჭირო მასალის დამზადება. ახალის საქალაქო დებულების პროექტის შემუშავების დროს დიდი უთანხმოება მოუვიდათ კონსერვატორებს და ლიბერალებს. პროექტი 1866 წელს იქმნა წარდგენილი სახელმწიფო საბჭოში, მაგრამ იქიდან უკან დააბრუნეს ხელ ახლად გადასასინჯავად. პროექტი დამტკიცებულ იქმნა მხოლოდ 1870 წლის 16 ივნისს.

ამიერ-კავკასიაში ახალი საქალაქო თვით-მმართველობა შემოიღეს 1874 წელს.

ახალის დებულების ძალით ქალაქის მმართველობა განაგებს ქალაქის ქონებას, მის გარეგან მოწყობილობას, ზრუნავს სანოვაგეს შესახებ, მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის, ცეცხლისაგან დაცვისათვის, მოხუცებულთა და ყოველგვარ შეუძლოთა უზრუნველ-ყოფისათვის, ჰმართავს სკოლებს, ბიბლიოთეკებს და თეატრებს, ხელს უწყობს და ეხმარება ქალაქის მრეწველობასა და ვაჭრობის განვითარებას. ქალაქი არის იურიდიული პირი, რომელსაც შეუძლიან თავის სახელზე შეიძინოს ქონება, გაყიდოს ასეთი, ისესხოს ფული, შეეკრას ვისმე პირობით, იჩივლოს სასამართლოში. ქალაქის თვით მმართველობას უფლება აქვს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ და გამოსცეს მცხოვრებთათვის სხვა-და-სხვა სავალდებულო დადგენილებანი. ქალაქს უფლება აქვს შეჰკრიბოს თავის სასარგებლოდ: 1) გადასახადი უძრავ ქონებაზე, 2) სავაჭრო და სამრეწველო მოწმობაზე, 3) ტრახტირებსა და სამიკიტნოებზე, 4) მეეტლეებსა, მეფურგუნეებსა და სხვაზე, 5) ცხენებსა და 6) ძაღლებზე.

ქალაქის თვით-მმართველობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან, ვინც რუსეთის ქვეშევრდომია, 25 წლის არის, აქვს ქალაქში რაიმე უძრავი მამული, ან იხდის ქალაქის სასარგებლოდ გადასახადს სავაჭრო, საწვრილმანო, პირველის ხარისხის სანოქრო ან სამრეწველო მოწმობისათვის. კერძო პირებთან ერთად მონაწილეობის უფლება აქვთ დაწესებულებათ, საზოგადოებათ, ამხანაგობათ, მონასტრებს და ეკკლესიებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ ზემომოყვანილს მოთხოვნილებას.

თუმცა დებულებას სახეში ჰყავს მთელი საზოგადოება ქალაქისა, „რომელმაც უნდა განაგოს თავისი საზოგადო საქმეები მის მიერ არჩეულ კაცების შემწეობით“ და ზემო-აღნუსხული პირობები ძლიერ ააღვილებენ თვით-მმართველობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ამასთანავე კანონმა ერთი ისეთი პირობაც დაუდვა ქალაქის არჩევნებს, რომელიც ნახევრად თუ მეტად არა აქარწყლებს ამ საარჩევნო უფლების პოვნის სიადვილეს. საქმე ის არის, რომ საქალაქო ამომრჩევლები, ე. ი. უფლების მქონენი, დაყოფილნი არიან სამს ჯგუფად და თითო ჯგუფი ირჩევს ცალ-ცალკე ერთს მესამედს ხმოსნების საერთო რიცხვისას. პირველს ჯგუფს შეადგენენ ის ამომრჩევლები, რომლებიც ერთად იხდიან ქალაქის სასარგებლოდ ერთს მესამედს საერთო გადასახადისას, მეორე ჯგუფს—ისინი, რომლებიც იხდიან მეორე მესამედს, და მესამეს—რომელნიც იხდიან უკანასკნელს მესამედს. რომ კარგად წარმოვიდგინოთ ამ დაყოფის მნიშვნელობა, ავიღოთ შემდეგი ციფრები: ქალაქში 400 ამომრჩეველია, რომლებიც იხდიან ქალაქის სასარგებლოდ 60,000 მ, მათ ხმოსნები უნდა აირჩიონ 30; 30 ყველაზედ უფრო შეძლებული ამომრჩეველი იხდის 20,000. და ირჩევს 10 ხმოსანს, შემდეგი 70 ამომრჩეველი იხდის მეორე 20,000 და ირჩევს 10 ხმოსანს, დანარჩენი 300 ამომრჩეველიც, რომელიც იხდის მესამე 20,000, ირჩევს მხოლოდ 10 ხმოსანს. ამგვარად ამ მოთხოვნილებისა გამო ამომრჩევლებში მხოლოდ ერთს მესამედს შეადგენდნენ წვრილი მესაკუთრენი და ვაჭარ-მრეწველნი. ეს იყო უმთავრესი ნაკლულევანება 1870 წლის დებულებისა, თუმცა საზოგადოთ იგი, შედარებით, კარგს პირობებში აყენებდა ქალაქის თვით-მმართველობას, როგორც შემდეგ დავინახავთ.

ქალაქის თვით-მმართველობის ორგანოებია—საბჭო, რომლის წევრებს—ხმოსნებს ირჩევენ ამომრჩევლები და გამგეობა, რომლის წევრებს (ქალაქის თავს და სხ.) ირჩევენ თავიანთ შორის ხმოსნები. ხმოსნებს ირჩევენ ოთხის წლით; თუ ვინმე უკანონოდ იქმნა არჩეული, ამის შესახებ საქმეს იხილავს საბჭო. ქალაქის სივრცისა და სიდიდის მიხედვით ხმოსნების რიცხვი შეიძლება იყოს 30—72-მდე, მხოლოდ მოსკოვში 180-დის და პეტერბურგში 250-დის. როგორც საბჭოს, ისე გამგეობის თავმჯდომარეა ქალაქის თავი. მეორე სრულიად კანონიერია, მხოლოდ საბჭოში ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობა ყოველთვის აბრკოლებს ჯეროვანს თვალყურის გდებას და მიუდგომლობას. არა ქრისტიანე ხმოსნების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს საერთო რიცხვის ერთს მესამედს.

ქალაქის თავის და მისის მოადგილის არჩევანი უნდა დაამტკიცოს ადმინისტრაციამ. გამგეობის წევრთა რიცხვის დადგენა დამოკიდებულია სრულიად საბჭოსაგან. საბჭოს სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრო სატახტო ქალაქებში ხმოსნების ერთი მეხუ-

მული, ახალგაზდა. თუმცა მრავალი მაყურებელი ჰხედავდა ამ ამბავს და ქალის “შველის“ ძახილიც ესმოდათ, მაგრამ შველა არავის არ შეეძლო, რადგანაც მკტვარი მეტად მოდიდებულია და არაფერი საშუალებაც არ არის ამ ადგილს სიკვდილისაგან გადაარჩინონ ადამიანი—არც ნავი, არც მცურავი და არ მეთვალყურე დარაჯი. ხალხის გულის მოსაკლავად იმის თვალწინ დაიღუპა შველის მახვეწარი საბრალო ქალი.

◆ ალაგირის ქართულ ბიბლიოთეკისათვის სოსიკო მერკვილაძისაგან მივიღეთ ორმოც-და-ექვსი სხვა-და-სხვა წიგნი.

ქუთაისის ახალი ამბები

~ ქუთაისის რეალური სასწავლებელი თავისს საკუთარ შენობას იშენებს. შენობა დიდია და დიდ-ძალი მუშა-ხალხი თავს დასტრიალებს, განსაკუთრებით ქვისა, ქვიშა-კირისა და სხვა-და-სხვა მასალის წამღებ-მომტანი.

თავიდანვე შემჩნეული იყო, რომ მუშების თვალ-ყურის გდება მეტად გულ-აცრუებულია ამ სახლის მშენებელთა მხრით, მაგრამ ეხლა, როცა შენობა სულ ზევითა და ზევით მიდის, მუშების მარცხიც გახშირდა: ისე დღე არ გავა, რომელსამე მუშას ან ხელი არ დაუშავდეს, ან ფეხი, ან თავი იმ დროს, როცა ქვეშიდან ზევით მასალას ეზიდებიან.

26 აპრილს სამი შემთხვევა იყო ასეთი: დიდრონ ხეებს მიათრევდნენ ზევით და ამ დროს ერთ მუშას დიდი თითი მოსტეხეს, მეორეს—პატარა თითი მოაგდებინეს, მესამეს კი ერთმა ბერძენმა გაუშალა უშველებელი ქვა და ფერდში მიარტყა. ისე მძიმე ავად გახდა საწყალი მუშა, რომ ცოცხალ-მკვდარი თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს. ბერძენს თურმე ქართული არ სცოდნია, ბერძნულად კირის მოტანა უთქვამს ქვის მზიდავისათვის; ამასაც ვერ გაუგია და ქვა მიუტანია; ამაზე გული მოსვლია ბატონ ბერძენს და ისე მოქცეულა, როგორც ზევით მოგახსენეთ...

შენობას თავს ადგია ინჟენერი, შენობის აგება იჯარით აქვს აღებული აქაურს „ივანე ბერძენს“. გასაკვირველი ისაა, რომ ამოტენა შენობაზე მასალის აზიდვა ასე უწესოდ ხდება. ნუ თუ იმდენს დონეს ვერ იღონებენ, რომ მუშას გაუადვილონ მასალის აზიდვა და დაშავებას გაადარჩინონ, თორემ გაჭირვებული სოფლის ხალხი მოდის ერთი ორი გროში ვიშოვოთ და ის კი არა, შოვნის მაგიერ, სახლში დაშავებული ბრუნდება.

წერილი სიღნაღიდან

(თვით-მმართველობის საქმეები)

ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობაში ერთი მეორეზე უარესი საგმირო კრებები ხდება ხოლმე. უკანასკნელი მარტის კრება უფრო მეტ აღელვებულად და აბობოქრებულად დამთავრდა, ვიდრე წინანდელი. სულ ხუთი საქმე იყო წამოყენებული გასარჩევად და ესეც რამდენჯერმე განხილული და გადადებული. ამ კრებაზე ერთხელ კიდევ შეეხნენ ქალაქის უძრავ ქონების დამფასებელ კომისიას, რომელიც გუბერნატორს დაუმტკიცებია და ისევე შეუწყნარებია, როგორც წარდგენილი იყო დასამტკიცებლად და აღნიშნეს უკანასკნელი ვადა, როდესაც უნდა უეჭველად შეუდგნენ დაფასებას. ეს ვადა უნდა გამოაცხადონ გაზ. „კავკაზ“-ში და ისეც აუწყონ განცხადებით მამულის პატრონთ, რომ მზად იქონიონ კომისიისთვის საჭირო საბუთები. ამ რიგად უკანასკნელად გადაწყდა ეს საყურადღებო საქმე, რომელიც სიღნაღის ქალაქის თვით-მმართველობას დაბადებითვე თან დაჰყვა, მაგრამ დღემდის სისრულეში ვერ მოიყვანეს და ქალაქის ღარიბ დატაკი კასსა მით კარგა ბლომად შემოსავალს ჰკარგავდა. დაბოლოვდა ეხლა კი, თუ კიდევ რაიმე ხრიკი არ გამოუგდეს და რაიმე დაბრკოლება არ გადაეღობა წინ.

მეორე კითხვა შეეხებოდა ამ მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც შარშან ძველ მამასახლისს წარუდგენია გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად და ახლა დაუბრუნდათ დამტკიცებული ზოგიერთა მუხლის შეცვლით. არ შეუწყნარებია, მაგალითად, გარდასახადი ქალაქის სასარგებლოდ ქალაქში გასასყიდად მორეკილ საქონელზე და ურმებზე, რომლებითაც სავაჭრო საქონელს შემოიტანენ, რითაც ქალაქს შემოსავალი აკლდება 700 მან.

ეს გარდასახადი აღრეულია სიღნაღისათვის იმ დრომდე მაინც, ვიდრე ქალაქი სადგომებს ან ფარდულებს აშენებს საქონლისათვის. ეს აზრი ჩვენ ადრევეც გამოვთქვით საჯაროთ და თანაც აღვნიშნეთ მუხლი კანონმდებლობიდან, რომელიც ავალებს ქალაქს წასახალისოს სოფლელნი ნაწარმოების ბაზარზე გამოსატანად და აღებ-იცემობაში, რისთვისაც საჭიროა დახმარებაც კი და არა გაფრთხობა მათი რაიმე გარდასახადით. ამ აზრისა იყო, როგორც ნამდვილათ ვიცით, თვით აწინდელი მამასახლისიც, მაგრამ რაკი ანგარიშში შეტანილი იყო 700 მან. შემოსავალი ამ გარდასახადისაგან, ახლა მოხსენება შემოიტანა კრებაზე, რომ ბაგები აშენდეს მორეკილ საქონლისათვის და ვიდრე ეს მოხერხდებოდეს, სავაჭრო ადგილად დაინიშნოს ქვემო მოედანი ან სხვა ვარჯიში ალაგი და შემოიღონ გარდასახადი 2—10 კაპეიკამდინ, რისთვისაც ნებართვა უნდა ითხოვონ, რომ სავალდებულო დადგენილება გამოსცენ. ვნახოთ, ამას როგორღა შეხედავს გუბერნატორი. დაბოლოს დაამტკიცეს ნიხრი ხორცზე—პირველი ხარისხისა—9 კაპ. მეორე—ხარისხისა—8 კაპ. სუკები—11 კაპ. ცხვარი პირველი ხარისხისა—10 კაპ. მეორე ხარისხისა—8 კაპ. გირგანქა და სხვ.

ნიხრის დამტკიცებამ რიგიანი კამათი გამოიწვია. რწმუნებულმა საფაროვმა მართლა შენიშნა, რომ თუ როდისმე უნდა იყოს ხორცი იაფი, სწორედ ეხლა, როცა მშვენიერი საქონელია; წელს კარგი თოვლი იყო და ბალახიც ბლომად არის, მაგრამ მომეტებულნი სხვა აზრისანი იყვნენ და ზემოდ მოხსენებული ნიხრი მიიღეს. ამ დღოცვილთ ნიხრი ტფილისის ნიხრს შეუფარდეს და ის კი სახეში არავის მიუღია, რომ ტფილისში დიდი ხარჯებიც აწევთ ყასბებს, დუქნებიც ძვირია და სხვ. და ტფილისში რომ 9 კაპ. ღირს, მაშინ შედარებით აქ ექვსი კაპეიკი უნდა იყოს. მორიგი კითხვების განხილვას მწყობრათ შეუდგნენ, ჩვეულებრივი არა მომხდარა-რა და გვეგონა დამშვიდდნენ რწმუნებულნი, მოიღალნენ, სხვაც არა იყოს-რა, დაუვიწყნიათ სიმძულვილი, პირადი ინტერესები და კინკლაობის მაგიერ თავიანთ ძალღონეს ქალაქის საერთო საქმეებს მოახმარებენო, მაგრამ მოვტყუვდით. თურმე ნუ იტყვით, თავიანთი სიმშვიდე, მოთმინება დაბოლო კითხვისთვის შეენახათ და განეძრახათ მთლათ ძალღონე და ტყვია-წამალი მამასახლისის მოხსენებისთვის მოეხმარებინათ. აგრეც მოხდა.

(დასასრული იქნება)

წერილი ალაგირიდან

(ქართული წირვის შეუსრულებლობა გიორგობას.—ქურდობა.—ცრუ მორწმუნეობა.—წვრილი ამბავი).

როგორც წინა წერილში გვქონდა მოხსენებული, წარსულის დიდ-მარხვის ერთის კვირის ქართულ წირვა-ლოცვამ ისეთი შთაბეჭდილება იქონია ალაგირელ ქართველებზე და ისე ასიამოვნა ისინი, რომ მაშინვე გაგზავნეს დეპუტაცია ვლადიკავკავის ეპისკოპოზ ვლადიმერთან უღრმესის მადლობის მოსახსენებლად და აგრეთვე სთხოვეს, შემდეგშიაც არ მოეკლო მათთვის ასეთი მოწყალება; ითხოვეს ამასთანავე გიორგობასაც მიეცა ქართული წირვის ნება-რთვა. ყოვლად სამღვდელო ვლადიმერმა მიიღო დეპუტაცია, დიდხანს ესაუბრა მას და ბოლოს შემდეგი უთხრა: „სანამ ეკკლესია და საკუთარი მღვდელი არ გეყოლებათ, არ მოგაკლებთ წირვა-ლოცვას თქვენს სამშობლო ენაზეო, მხოლოდ ეცადეთ ეკკლესია ააშენოთ და მიჰბაძოთ ამ შემთხვევაში თქვენს ძმებს კავკავის ქართველობასაო“. გიორგობას ქართული წირვის შესახებ აღუთქვა: „რადგან ალაგირის ეკკლესიას სამი სამწირველო აქვს, მამა ბაკურაძე შეასრულებს ადრე თქვენთვის ქართულ წირვას, ხოლო მას შემდეგ რუსულად ადგილობრივი მღვდელიო“. დეპუტაცია ძლიერ გახარებული დაბრუნდა ალაგირში.

აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. ალაგირელი ქართველები არიან გადმოსახლებულნი რაჭის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებიდან: ზოგი ზემო რაჭველია, ზოგი—ქვემო და ზოგიც ლეჩხუმელი. რასაკვირველია, მათ თავიანთ სოფლის ეკკლესიებში სხვა-და-სხვა ხატის (წმინდანების) დღეობა იცოდნენ, მაგრამ აქ ეკკლესიის უქონლობის გამო, ცხადია, თავიანთ დღეობებს ვერ შეასრულებდნენ; ამისთვის ყველა გადმოსახლებულებმა თავიანთ შორის დაიდვეს წესად, იდღესასწაულონ ყოველ წლის 23-ს აპრილს გიორგობა.

წელს ამ დღეს დიდძალი ხალხი გროვდებოდა: მათ უნდოდათ დამტკბარიყვნენ თავიანთ ენაზე წირვა-ლოცვის და სასიამოვნო გალობის მოსმენით, რასაც წინა წლებში სრულიად მოკლებულნი იყვნენ ხოლმე. მაგრამ დახე უიღბლობას. მამა ნესტორ ბაკურაძე არ ვიცით, რა მიზეზის გამო, ალაგირში არ მოვიდა. ხალხი სახტად დარჩა და კიდევ წინა წლებზე უფრო სასოწარკვეთილებას მიეცა.

ამ დღეს ქართულად წირვის შეუსრულებლობას ის არა ჩვეულებრივი შედეგი მოჰყვა, რომ ხალხს ურთიერთს შორის ლაპარაკი მოუვიდათ, რის გამო გაშორდნენ ერთმანეთს—სამ ადგილს სხვა-და-სხვა ყანებში დასხდნენ, რაც წინად არას დროს არა ყოფილა.

არ იქნა და ვერ ალაგმეს აქაური ქურდ-ბაცაცები. ამას წინად ალაგირში ოლქის უფროსის ბ. ტოლსტოის განკარგულებით გამართულ იქმნა ყრილობა, რომლის სათათბირო საგანი იყო, სხვათა შორის, ოსებთა ცუდი „ჩვეულების“ (ქურდობის) მოსპობა. ყრილობამ დაადგინა, იმ პირს, რომელიც შემჩნეული იქნება ქურდობაში, უნდა დაჰკრან როზგი. მაშინ კი გვეგონა, რომ აწი მაინც მოვისვენებთ, რადგანაც ამბობდნენ, რომ ოსებს როზგის ძალიან ეშინიანთო, მაგრამ ის კი არა უარესი მოგვივიდა.

ახალმა გარდაწყვეტილებამ არამც თუ შეამცირა ქურდ-ბაცაცთა რიცხვი, არამედ გამრავლდა, გაათავარფაშა და გაკადნიერა ისინი. უწინ თუ აქა-იქ თითო-ოროლას იპარავდნენ ღამე, ეხლა დღისით „მოურიდებლად“ მიჰყავთ ათობით და ოცობით. აი, მაგალითად, ამას წინად ერთს აქაურს მოიჯარადრეს წაართვეს დღისით რამდენიმე ცხენი და ხარი. 10 აპრილს ალაგირის მახლობლად სულ ნახევარი ვერსტი არ იქნებოდა სოფლიდან მინდორში საქონელს აძოვებდნენ პატარა ბავშვები, შუადღეზე მათ დაესხნენ სამი შეიარაღებული კაცი და გაირეკეს რამდენიმე ცხენი. საბრალო ბავშვები წივილ-კივილით გამოექანნენ სოფელში, შეატყობინეს ბოქაულს, რომელიც რამდენიმე ჩაფრებით გაუდევნა მათ, მაგრამ ბოროტ-განმზრახველნი ისე გაჰქრნენ, რომ კვალიც ვერ ჰპოვეს იმათი.

თუ რამდენად გავრცელებულია აქაურს ქართველებში ცრუ—მორწმუნეობა, ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტი.

9 აპრილს აქაც დაბნელდა მთვარე, ასე საღამოს 7 საათი იქნებოდა, რომ აქა-იქ თოფის ხმა მომესმა, მაგრამ არაფერი ყურადღებას არ მივაქციე; პატარა ხანს შემდეგ ისეთი თოფების სროლა ასტეხეს, რომ გეგონებოდათ, ყველას მოულოდნელი მტერი შემოსევია და ეს არის უნდა დაიღუპოსო. ამ დროს ჩემთან მოირბინა ერთმა კაცმა და მეუბნება; შეხედე ცაზე რა ამბავია-ჰო, გველეშაპი ყლაპავს მთვარეს, თოფებს მიტომ ესვრიან, გველეშაპი უნდა შეაშინონ და გადაარჩინონ მთვარეო!.

წელს აქ რამდენიმე ინტელიგენტმა გადასწყვიტეს, აღდგომას „ვიზიტების“ და სუფრის გაშლის მაგივრად, ის ფულები, რაც მათ ამის მოსაწყობათ დაეხარჯებოდათ, შესწირონ აქაურს რუსების-მიერ დაარსებულს ბიბლიოთეკას. ეს სიმპატიური მაგალითია აქაურს მიძინებულ ინტელიგენტთა შორის და ვუსურვებთ მათ შემდეგშიაც ასეთის სიმპატიური აზრის გამოჩენას საზოგადო საქმეში.

ამ ჟამად აქ კარგი ამინდია, ხალხი მინდორში გასრულია სამუშაოდ და, როგორც ამბობენ, წლევანდელს ნათესს კარგი პირი უჩანს ჯერჯერობით.

პავლე ლომთათიძე.

უცხოეთის წვრილი ამბები

სამეფო ტახტები. ერთი უმშვენიერესს ტახტთაგანი ეკუთვნის ინგლისის მეფეს.

თედი, სხვა ქალაქებში—ერთი მესამედი. სხდომები წლის განმავლობაში შეუძლიან დანიშნოს რამდენიც უნდა თვითონ საბჭომ.

ქალაქის საბჭო იყო თვითმმართველობის უმთავრესი გამგე ორგანო, ზედამხედველი, მეთვალ-ყურე და განმკარგულებული, გამგეობა კი მხოლოდ მისი ხელქვეითი, აღმასრულებელი ორგანო; საბჭოს შეეძლო გამგეობის წევრების სამართალში მიცემა, თუ ისინი კარგად არ ასრულებდენ თავის მოვალეობას და სისრულეში არ მოყავდათ საბჭოს დადგენილება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალაქის თვითმმართველობის რომელისამე თანამდებობის კაცი პასუხს აგებდა მხოლოთ სასამართლოთი და ქალაქის თავის პასუხის გებაში მიცემა შეეძლო სენატის I-ს დეპარტამენტს, სხვების კი საქალაქო საქმეთა საკრებულოს, რომლის დადგენილების გასაჩივრება შეეძლო საბჭოს სენატში.

1870 წლის დებულების მიერ შემოღებულის თვითმმართველობის უმთავრესი დამახასიათებელი და მის უფლებათა სივრცესიდიდის გამომხატველია მისი დამოკიდებულება ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან. ეს დამოკიდებულება იყო მცირე და გარეკვევით განსაზღრული. ყოველისავე თვითმმართველ დაწესებულებისათვის ყველაფერზედ დიდი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ რის საქმის გაკეთებაც მინდობილი აქვს კანონით, ამის გაკეთებაში დამოუკიდებელი იყოს. საქმე ის კი არ არის ბევრი რამ მიანდოთ ვისმე, არამედ მისი მოქმედების ასპარეზი თავისუფალი ჰყოთ და კანონებით შემოზღუდოთ მხოლოდ. 1870 წლის კანონით ქალაქის თვითმმართველობას მიენდო მზრუნველობა და გამგებლობა ქალაქის მეურნეობისა და გუბერნატორს უფლება მიეცა, თვალ-ყური ადევნოს ქალაქის ორგანოების მოქმედების **კანონიერობას** მხოლოდ. ამ მოქმედების დამოუკიდებლობის მეტის უზრუნველყოფისათვის დაარსებულ იქმნა ყველა გუბერნიაში საქალაქო საქმეთა საკრებულო (სადაც ერობაა შემოღებული, იქ ასეთის საკრებულოს მოვალეობას სწევს საერობო საქმეთა საკრებულო), რომლის წევრები არიან გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის მარშალი, სახაზინო პალატის მმართველი, საგუბერნიო ქალაქის მოურავი, საოლქო სასამართლოს პროკურორი და სხ. თუ გუბერნატორმა რაიმე უკანონობა დაინახა საბჭოს მოქმედებაში, მან უნდა შეიტანოს ამის შესახებ საჩივარი საქალაქო საქმეთა საკრებულოში, რომლის დადგენილება შეუძლიან გაასაჩივროს საბჭომ სენატში.

საბჭოს დადგენილებათა დიდი უმრავლესობა დაუყოვნებლივ შედის სისრულეში, მხოლოდ სულ მცირე რიცხვს მათგან ესაჭიროება ადმინისტრაციის მხრივ დამტკიცება; ასეთია დადგენილებანი, რომლებიც შეეხებიან სავაჭრო პოლიციის მოწყობას, ქალაქის პლანების შეცვლას, დიდის სესხების აღებას, საზოგადო მფლობელობის მიწის გაყიდვისა ვისამე განსაკუთრებულს მფლობელობაში გადაცემას და ხიდებზე ან გზებზე გადასახადის დადებას.

თვალი რომ გადავავლოთ მოკლედ 1870 წლის საქალაქო დებულებას, მან დიდი გაუმჯობესობა შეიტანა ქალაქების თვითმმართველობაში: მოსპო წინადელი მცხოვრებლების წოდებებად დაყოფა და უზრუნველ ჰყო თვითმმართველობა ადმინისტრაციის ფვითნებობისაგან. სწორედ რომა ვსთქვათ, წინად თვითმმართველობა მხოლოდ სახელით არსებობდა. სასურველად არ გააფართოვა 1870 წლის დებულებამ საარჩევნო უფლება, რაც ერთის ხელით მისცა ამომრჩევლებს, ის მეორეთი წაართვა, მაგრამ მაინც ის იმდენად ჭეშმარიტ გზაზე იყო დაყენებული და იმდენად ნაყოფიერი იყო მაზედ სხვა რეფორმათა—გლეხების განთავისუფლების, ერობის, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღების, სამოსამართლო და სასკოლო რეფორმების—ზედგავლენა, რომ მისი სასარგებლო მოღვაწეობა 22 წლის განმავლობაში (1892 წლამდის, როდესაც ახალი საქალაქო დებულება გამოიცა) ყველასათვის თვალსაჩინოა და მთავრობამაც აღიარა, რომ მან ყველგან გააუკეთესა ქალაქების მდგომარეობა.

მარტო სასკოლო საქმე რომ ავიღოთ, შემდეგ საყურადღებო ციფრებს შევხვდებით: ჯერ კიდევ 1879 წელს მოსკოვის გუბერნიის სამაზრო ქალაქები სახალხო განათლებისთვის ხარჯავდენ 13% თავის ბიუჯეტან; ამავე დროის განმავლობაში ჩერნიგოვში სკოლების რიცხვი გამრავლდა 15-ჯერ, კიევში 8-ჯერ; ტამბოვი ხარჯავდა 1879 წელს სახალხო სკოლებისათვის 58 ათას მან., ვორონეჟი—31 ათასს, ოსტროგოჟსკი 13 ათასს (მთელს მეოთხედს თავის ბიუჯეტისას); პეტერბურგში სახალხო პირველ დაწყებითი სკოლების რიცხვი 1877 წელს, როდესაც ეს სკოლები გადავიდა ქალაქის თვითმმართველობის ხელში, იყო მხოლოდ 16, ახლა კი მათი რიცხვი 300-ია.

როგორც საარჩევნო კრებებს ამომრჩევლები, ისე საბჭოს სხდომებს—ხმოსნები ყოველთვის ბევრნი ესწრებოდენ. ყველგან ქალაქის თვითმმართველობაში სიცოცხლე იყო, მუშაობა და საქმისთვის თავის გამოდება. ყველანი ენერგიულად ეკიდებოდენ თავიანთ მოვალეობას...

ასეთი იყო 1870 წ. დებულების მიერ შემოღებული თვითმმართველობა.

კალამი

ეს ტახტი ბუკინჰამის სასახლის სამეფო დარბაზში დგას; ეს დარბაზი შესანიშნავია თავის მდიდრულის მორთულობით. ტახტს თავზე ჩარდახი აქვს გაკეთებული მუქი წითელის ხავერდისა; სავარძელი იმავე ხავერდით არის გადაკრული და შემკულია ოქროს ჩუქურთმებით.

მეორე ტახტი დეპუტატთა პალატაშია. ეს ტახტი ბევრად ძვირფასია პირველზე, რადგანაც მთელი ხე სულ ოქროთი, ვერცხლით და სპილოს ძვლით არის მოჭედილი. სავარძლის სახელურების ბოლოს ლომის თათებია გაკეთებული მკვრივის ოქროსი.

სავარძელი ისეთი განიერია, რომ, როცა ერთმა ამერიკელმა ნახა ის, შეჰყვირა.

— აქ ერთი მეფე კი არა, ორიც კარგად მოთავსდებაო!

გარდა ამისა, ინგლისში მესამე ტახტიც არის, ესრეთ წოდებული გვირგვინის კურთხევის ტახტი, რომელიც განთქმულია ისტორიულის მოგონებით.

იმპერატორ ვილჰელმს ორი ტახტი აქვს: ერთი გერმანიის იმპერატორისა, მეორე —პრუსიის მეფისა.

პირველი, მეტის მეტი მშვენიერი, მთლად მოჭედილია ძვირფასის ქვებით და თვლებით, გადაკრული აქვს ოქროს ფარჩა და ჩარდახი სპილოს ძვლით არის მოჭედილი. პრუსიის მეფის ტახტი უბრალოა.

განსვენებული ბავარიის მეფის ლუდვიგის ტახტი განთქმული იყო წარმოუდგენელის სიმშვენიერით და მედიდურის მოწყობილებით. სავარძლის ფეხები, რომელიც ლომის თათებად არის გამოყვანილი, ბაჯაღლო ოქროსია. სავარძლის ზურგზე ორი ოქროს ანგელოზია, რომელთაც ხელში უჭირავთ ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო გვირგვინი.

იმპერატორის ფრანც იოსების ტახტი თუმც დიდად მშვენიერი და დიდებულია, მაინც ზემოთ აღწერილთ ვერ შეედრება.

ყველაზე უბრალო ტახტები მეფე ვიქტორ ემმანუილ მესამეს და ლეოპოლდ ბელგიელსა აქვთ.

ჰოლანდიის ახალგაზდა დედოფლის ვილჰელმინას სამეფო ტახტი განსაკუთრებულად მედიდური არ არის, თუმცა მთლად მოჭედილია ბრილიანტებით და ლალით.

აფრიკის ნეგუსს მენელიკსაცა აქვს ტახტი, რომელიც იმას საფრანგეთის მთავრობამ უთავაზა. ეს ტახტი აღმოსავლეთის გემოვნებაზეა გაკეთებული და თავზე გვირგვინი აქვს გაკეთებული.

მენელიკი ისე უფთხილდება ამ ტახტს, რომ ვიდრე იმაზე დაჯდება, წითელ ქაღალდს გადააფენს ხოლმე, რომ არ გაჭუჭყიანდეს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მაისი

პეტერბურგი. მისი უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიის მთავარ-მმართველი ჰოფმეისტერი ტანეევი პეტერბურგში დაბრუნდა.—საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ს. მ. ლუკიანოვი ვორონეჟის გუბერნიაში წავიდა.

ლონდონი. კარისმიტიდან იუწყებიან 12 მაისს: „გუშინ აქ მოვიდნენ გენერალი ვესსელსი, დე ბოტა და ბურების სხვა სარდლები და დღეს ფერენინგენში წავიდნენ ბურების დელეგატების სანახავად.

ვარშავა. ვარშავის ქალაქის პირველ სასწავლებელთან გაიხსნა სასკოლო შემნახველი კასსა.—გამოიცა სავალდებულო დადგენილებანი რძის და სარძეო ნაწარმოების ვაჭრობისათვის ვარშავაში.

ლიბავა. ადმირალ ჩუხნინის წყნარ-ოკეანეს ესკადრა, რომელიც ჯავშნიანი გემების „სისოი ველიკი"-ს, „იმპერატორი ნიკოლოზ პირველი"-ს, და „ნავარინის" და კრეისერ „დიმიტრი დონსკოის" და „ადმირალ კორნილოვის" გემებიდან შესდგება, კრონშტადტში წავიდა; იმას შეუერთდა კრეისერი „ასკოლდი".

ტამბოვი. კოზლოვსკის მაზრაში გაჩნდა დრძილების ავადმყოფობა, რის გამოც გაგზავნეს იქ მოწყალების დათა რაზმი.

რიბინსკი. გამოვიდა პირველი ნომერი „ვესტნიკ რიბინსკოი ბირჟი"-სა.

რადომი. საერო განათლების სამინისტრომ სახელოსნო სასწავლებლის გახსნის ნება დართო.

ჩისტოპოლი. ზღვაოსნობის გახსნისათვის აქ დამზადებულია ჭვავი, შვრია და ფქვილი სამი მილიონი ფუთი, შარშანდელზე ორი მილიონით ნაკლები.

ორიოლი. ოლქის სასამართლომ გაამართლა აზნაური ვლადიმერ დურნოვო, რომელსაც ბრალდებოდა სახლის დაწვა, რომ დასაზღვევი ჯილდო მიეღო.

უსტ-სისოლსკი. მდინარეები ჯერ კიდევ გაყინულია, თოვლი ძევს. გლეხებს თივა არა აქვთ და შეიძლება უჭმელობით საქონელი სულ გაუწყდეთ.

კრონშტადტი. მესინიდან მოვიდა დანიის გემი ხილით და პეტერბურგში წავიდა. გაიხსნა გემების პირდაპირი მიმოსვლა სატახტო ქალაქთან.

ვლადივოსტოკი. ტაძარში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს სახსოვრად ხელმწიფე იმპერატორის საშიშროებიდან გადარჩენისა იაპონიაში.

სიმბირსკი. „გუბერნსკია ვედომოსტი" იუწყებიან, რომ კარამზინის წიგნთ-საცავის საზოგადო სხდომაზე წარმოდგენილი იყო ისტორიოგრაფის წერილები. ერთი ცალი „ვესტნიკ ევროპი" და ხელნაწერები.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დელეგაციის კომისიაში გრაფმა გოლუხოვსკიმ უპასუხა კითხვაზე ფალკს და განაცხადა. „რაც შეეხება რუსეთთან გამოკიდებულებას, ამაზე ერთი სიტყვაც არ ითქმის, რომ რაიმე წერილობითი ხელშეკრულება იყოს. საქმე ურთიერთ შორის აზრის გამოთქმაზე არის დამყარებული, რომელსაც მიზნადა აქვს, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში დაადგინოს თანხმობა ორივე სახელმწიფოთა შორის".

პარიჟი. როგორც კი ამბავი მოვიდა კუნძულ მარტინიკაზე მომხდარ უბედურების შესახებ, რუსეთის იმპერატორმა მაშინათვე ლუბეს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც თავისა და დედოფლის სახელით განუცხადა დიდი სამძიმარი და დასძინა, რომ თანამონაწილეა იმ მწუხარებაში, რომელიც საფრანგეთს ხვდა საშინელი უბედურების გამო.

ბრესტი. ლუბე აქ მოვიდა, როდესაც პრეფექტურაში მიდიოდა, ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

ფორტ-დე-ფრანც. წმ. ვიკენტის კუნძულზე დაღუპულთა რიცხვი ორი ათასია. უმეტეს ნაწილად კარაიბები არიან.

ლონდონი. შანჰაიდან მოსულის ცნობებით, ჩინეთის მთავრობამ გარდასწყვიტა, ჩაის გამოტანის გარდასახადი შეამციროს ხუთის პროცენტით.

პეკინი. პეჩილიაში მომხდარი აჯანყება სრულიად მოისპო. იუნ-შიკაის ჯარები 26 აპრილს წააწყდნენ სამი ათასს აჯანყებულთ, რომელთაგან ათასი დაიხოცა; ორი წინამძღოლი შეიპყრეს; დანარჩენები გაიქცნენ.

რიგა. ლუბეს ყოფნის დროს რუსეთში აქაური ფრანგთა ახალშენი შვიდ მაისს ბალს გამართავს.

მოსკოვი. დღეს გაიხსნა პირუტყვთა მოშენების გამოფენა.—დღეს მედიკო-ფილანტროპიულმა საზოგადოებამ იდღესასწაულა რასცვეტოვის მოგონება, რომელმაც საზოგადოებას 800,000 მანეთი შესწირა.

ვილნა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი პეტერბურგს მიდის.

პეტერბურგი. დღეს, პირველ მაისს, ხელმწიფე-იმპერატორის და დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის თანადასწრებით აკურთხეს მარიინსკის თავშესაფარის შენობა დაჭრილ და დასახიჩრებულ ჯარის კაცთათვის.

2 მაისი

ბრესტი. ლუბესათვის გამართულ ნადიმზე, რომელსაც დაესწრო 1500 კაცი, მერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მიულოცა ლუბეს მშვიდობით მოსვლა. ლუბემ აქო ვალდეკ-რუსსო, უანგარო და მამაცი მოსამსახურე თავის სამშობლოსი. აქო აგრეთვე დელკასსე: ოთხი წლის განმავლობაში ხელ-მძღვანელობდა უცხოეთის პოლიტიკას, ამასთანავე მისი ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა საფრანგეთში და მის გარეთ. ლუბემ აქო აგრეთვე ლანესსანი და გამოსთქვა, რომ დარწმუნებულია მცხოვრებნი რესპუბლიკანელებად დარჩებიან; ბრძოლა გათავდა და დადგა დღეები დაწყნარებისა; სთხოვა ურთიერთ შორის თანხმობა და გამოაცხადა, რომ აღტაცებით იშრომებს სამშობლოს ზნეობრივ,დ გაერთიანებისათვის.

ბრესტი. პრეზიდენტი კრეისერ „მონტკალმით" პეტერბურგს გაემგზავრა. კრეისერს თან გაჰყვა ხუთი სამხედრო გემი.

გაზეთი „ჟურნალი" ამბობს, რომ ლუბეს მომავალ მოქმედებისათვის კარგი პირობებია: ყველას სურს მათი წარმატებით ასრულება; ფრანგ-რუსთა კავშირი არა ჰსაჭიროებს კვლავ დაამტკიცონ, რამდენად სასარგებლოა მშვიდობიანობისათვის იმის მიზანი. ეს მოგზაურობა აღმანიშვნელია ფრანგ-რუსთა კავშირის განახლებისა. იმის დამაარსებელი იყო მშვიდობის მოყვარე მეფე ალექსანდრე მესამე და წმინდა წესს ამ კავშირისას განაგრძობს იმპერატორი ნიკოლოზ მეორე.

ლონდონი. წმ. ვიკენტის კუნძულის მდგომარეობა უფრო უარესია, ვიდრე წინად მოსულის ცნობებით ეგონათ. აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი სულ განადგურებულია. დაღუპული უნდა იყოს 1,600 კაცი: მიწას მიაბარეს 1000-მდე გვამი.

პორტ-კასტრი. ნიშნის მიმცემმა სადგურმა შენიშნა შუქი პორტ-დე-ფრანსესკენ.

ბრესტი. ლუბე 5 საათსა და 15 წუთზე წავიდა კრეისერ „მონტკალმა"-ით; თან მიჰყვება ბალტიის საზღვაო დივიზიისა და ჩრდილოეთის ესკადრის ყველა გემები.

გროდნო. პოლტავის გუბერნატორად ახლად დანიშნული თავადი ურუსოვი პეტერბურგიდან მოვიდა აქ.

ურალსკი. მიმდინარე წლის განმავლობაში გაზიდულ თევზის ღირებულობა ხუთ მილიონ ნახევარი მანეთია, მილიონით ნაკლები 1901 წლისაზე.

პიატიგორსკი. დღეს გაიხსნა სამკურნალო სეზონი აქაურს წყლებზე მომსვლელთათვის. აკურთხეს ახლად გაკეთებული პარკი და ნოვოსაბანეევსკის ვანნები. ავადმყოფები მოდიან კიდეც.

ტომსკი. აქაურმა ვაჭარმა ერნევმა ჭკუიდან შეშლის დროს სამართებლით დაჰკლა ორი თავისი ბავშვი, რევოლვერი ესროლა ცოლს და მერე თვითონაც ტყვია დაიცა საფეთქელში. მისი მდგომარეობა საშიშია.

კიევი. დიდ-ძალი მლოცველები მოდიან სხვა ქვეყნებიდან, რომ თაყვანი სცენ კიევის წმიდანებს. კიევო-პეჩორის ლავრის სასტუმროში გუშინ 16,000-მდე მლოცველი იყო ჩამომხტარი.

პეტერბურგი. საპატიო ლეიბ-მ დიკს შერვინსკის ებოძა ლეიბ-მედიკობა.—სახელმწიფო საბჭოს წევრი კობეკო დაინიშნა საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად.—ვიატკის ვიცე გუბერნატორი ნოვოსელსკი დაინიშნა მისი უდიდებულესობის კაბინეთის კამერალურ განყოფილების მმართველად.

ტომსკი. არსდება ფოტოგრაფიული საზოგადოება. დამაარსებელი 30 კაცზე მეტია.

პეტერბურგის ბირჟა 30 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^{3}/_{4}$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^{3}/_{4}$	მყიდვ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$94^{3}/_{4}$	გაყიდ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	303	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.		
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^{7}/_{8}$	
$4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	172	„

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1)№ 1 სწრაფი — დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (ს ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 1 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან —№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); №6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ფოთის

ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს, რომ იმ პირთა სია, ვისაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების ოთხი წლით 1902—1906 წწ., არჩევანში თანხმათ 35 მუხლის საქალაქო დებულებისა, საყოველთაოთ გამოცხადებული იქნება ამ 1902 წლის მაისის თუთხმეტს.

საქალაქო დებულების 33 მუხლის მერვე პუნკტის ძალით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერც წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულზე ქალაქის დასაფასებელი გადასახადისა ნახევარი წლისაზე მეტი ითვლება, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც სურს არ დაკარგოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დააჩქაროს გადასახადის შემოტანა, სანამ საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაწესებულია საქალაქო დებულების 38 მუხლის ძალით. 9 აპრილს 1902 წ..

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	09
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою Тифлисъ, 2 Мая 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.